შპს დაგი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. მომზადების საფუძვლები 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 13
5. ამონაგები 14
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 14
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 15
8. ძირითადი საშუალებები 15
9. ფინანსური ხარჯები 15
10. მარაგები 16
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 16
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 16
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 17

ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია აღრიცხვაზე, რომლის შედეგებიც ასახულია დასკვნაში, არის:

ნათია ხანჯალიაშვილი (პ/ნ 01010014781)

თბილისი, საქართველო

15 ოქტომბერი 2023

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	5,433	5,228
გაყიდული პროდუქტის თვითღირებულება	6	(5,173)	(5,028)
საერთო მოგება		260	200
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(1)	(1)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(92)	(72)
საიჯარო ქირა		(29)	(29)
საოპერაციო მოგება		138	98
ფინანსური ხარჯები		(41)	(19)
სხვა ფინანსური ხარჯი	9	(9)	(2)
წლის მოგება/ზარალი		88	77

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ბუღალტერი ნათია ხანჯალიაშვილი

დირექტორი დავით გასვიანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	4	5
		4	5
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	88	76
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	544	339
საგადასახადო მოთხოვნები	12	65	9
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	145	101
		842	525
სულ აქტივები		846	530
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი მოგება/ზარალი		313	203
		313	203
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ობლიგაციები და სესხები	9	28	48
		28	48
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	246	114
ობლიგაციები და სესხები	9	259	165
		505	279
სულ ვალდებულებები		533	327
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		846	530

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)	***2021***	***2022***
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოდინება საწვავის რეალიზაციიდან	5,907	6,200
თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები და სხვა ბენეფიტები	(66)	(82)
სასაქონლო მატერიალური მარაგის შესყიდვა	(5,931)	(5,972)
საწვავის ტრანსპორტირების ხარჯები	(44)	(34)
გადახდილი გადასახადები გარდა საშემოსავლო გადასახადისა	(44)	(87)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(12)	(13)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(190)**	**12**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-
უძრავი ქონების შესყიდვა	-	-
მიღებული პროცენტები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**-**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული თანხები	279	215
სესხების დაფარვა	(170)	(142)
გადახდილი პროცენტები გადახდილი დივიდენდი	(20)	(41)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**89**	**32**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	-	-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**(101)**	**44**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	202	101
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	101	145

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს დაგის (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას. შპს დაგი არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფ. მუხრანი.

კომპანია ფლობს მხოლოდ ერთ ბენზინგასამართ სარდგურს და ვაჭრობს 4 ტიპის საწვავით: ევროდიზელი, დიზელი, ბენზინი რეგულარი და ბენზინი პრემიუმი. კომანია დაკავებულია საცალო ვაჭრობით როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიული პირებთან.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანია ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კოპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელის შეფასებისთვის კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას რომელიც მიუთითებს, რომ თავისი არსით გარდაუვალი გადახდებია. აქედან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022	31.12.2021
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	544	339
ფული და ფულის ეკვივალენტები	145	101
სულ ფინანსური აქტივები	689	440

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	246	114
სესხები და ობლიგაციები	259	165
სულ ფინანსური ვალდებულებები	505	279

ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებების ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად მიღებული სესხების ღირებულება განაკვეთი მერყეობს 13%-დან 14%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სესხების შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაიცვას მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსი. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ფინანსური სამსახურისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც მას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	544	339
სულ	544	339

ლიკვიდურობის
რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს საბრუნავი საშუალებების დროული შეძენა, სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია სარგებლობს საბანკო სესხებით, როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი. ასევე საჭიორების შემთხვევაში იყენებს პარტნიორების ფულად სახსრებს.

5. ამონაგები

	2022	2021
ბენზინი	2,948	2,822
დიზელი	2,486	2,407
სულ	5,433	5,229

კომპანიას ამონაგები ფორმირდება ბენზინგსამართი სადგურიდან საწვავის რეალიზების შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული საწვავი	(5,135)	(4,981)
საწვავის ტრანსპორტირება	(34)	(44)
სულ	(5,169)	(5,025)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(82)	(66)
იჯარა	(29)	(29)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1)	(1)
კომუნალური ხარჯი	(8)	(6)
საბანკო ხარჯი	(41)	(18)
დაზღვევის ხარჯი	(1)	(1)
სხვა ხარჯი	(2)	(1)
სულ	(164)	(122)

8. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ბალანსზე ირიცხება მხოლოდ რამდენიმე მანქანა-დანადგარი, რადგან ძირითადი იჯარით აღებული ფართი სრულად კეთილმოწყობილია და არ საჭიროებს დამატებით დანახარჯებს.

	2022	2021
მანქანა-დანადგარები	10	10
ჯამური ცვეთა	(6)	(5)
სულ	4	5

9. ფინანსური ხარჯები

კომპანია სარგებლობს საბანკო გრძელვადიანი სესხით და ასევე მოკლევადიანი საკრედიტო ხაზით. ფიანსურ დანახარჯებში ასახულია საკრედიტო დაწესებულებისთვის გადახდილი პროცენტები და ასევე მოიცავს სხვა საბანკო ხარჯებსაც, როგორიცაა მომსახურების საკომისო, გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.

	2022	2021
ფინანსური ხარჯები	(41)	(19)
სხვა ფინანსური ხარჯი	(9)	(2)
სულ	(50)	(21)

10. მარაგები

კომპანიის ბალანზე აღრიცხულია სარეალიზაციოდ განკუთვლინი სასაქონლო-მატერიალური მარაგები. კომპანია ვაჭრობს მხოლოდ ოთხი ტიპის საწვავით - ევრო დიზელი, დიზელი, ბეზინი რეგულარი და ბეზინი პრემიუმი.

	2022	2021
ევრო რეგულარი - ბენზინი	15	23
დიზელი	34	28
პრემიუმი - ბენზინი	21	9
ევრო დიზელი	18	16
სულ	88	76

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის ძირითადი მომხმარებელბი არიან გადამზიდი კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ კონსიგნაციით. სავაჭრო მოთხოვნებიში შესულია მხოლოდ მათ მიერ შესყიდული საწვავის ღირებულება, რომელსაც ფარავენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

12. საგადასახადო მოთხოვნები

კომპანიას ბიუჯეტში წლის ბოლოს გადახდილი ჰქონდა ავანსად გადასახდები, რომლის ათვისებაც მოხდა შემდგომ პერიოდში საგადასახადო დავის დასრულების შემდგომ.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები
კომპანიის ბალანზე ირიცხება მხოლოდ ნაღდი ფული სალაროში და საბანკო ანგარიშზე. სხვა სახის ფულადი ექვივალენტებით კომპანია არ სარგებლობს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვლდებულებების მდგენელი ძირითადად არის სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვისთვის გაწეული ხარჯები, რომელსაც კომპანია იხდის კონტრაქტით გათვალისიწინებულ ვადებში.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქიონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში.

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები მერყეევია და იცვლება პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე

ხარჯები

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის

ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. რადგან კომპანიას აქვს მხოლოდ მანქანა-დანადგარები, მათი საციცხლო ვადა განსაზღვრულია 5 წლით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მხოლოდ სასესხო ვალდებულებებს, ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.
ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

დივიდენდები

 დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

შპს დაგი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის

სარჩევი:

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. მომზადების საფუძვლები 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 13
5. ამონაგები 14
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 14
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 15
8. ძირითადი საშუალებები 15
9. ფინანსური ხარჯები 15
10. მარაგები 16
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 16
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 16
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 17

ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია აღრიცხვაზე, რომლის შედეგებიც ასახულია დასკვნაში, არის:

ნათია ხანჯალიაშვილი (პ/ნ 01010014781)

თბილისი, საქართველო

15 ოქტომბერი 2023

შპს დაგი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	5,433	5,228
გაყიდული პროდუქტის თვითღირებულება	6	(5,173)	(5,028)
საერთო მოგება		260	200
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(1)	(1)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(92)	(72)
საიჯარო ქირა		(29)	(29)
საოპერაციო მოგება		138	98
ფინანსური ხარჯები		(41)	(19)
სხვა ფინანსური ხარჯი	9	(9)	(2)
წლის მოგება/ზარალი		88	77

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ბუღალტერი ნათია ხანჯალიაშვილი

დირექტორი დავით გასვიანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	4	5
		4	5
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	88	76
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	544	339
საგადასახადო მოთხოვნები	12	65	9
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	145	101
		842	525
სულ აქტივები		846	530
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი მოგება/ზარალი		313	203
		313	203
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ობლიგაციები და სესხები	9	28	48
		28	48
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	246	114
ობლიგაციები და სესხები	9	259	165
		505	279
სულ ვალდებულებები		533	327
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		846	530

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)	*2021*	*2022*
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოდინება საწვავის რეალიზაციიდან	5,907	6,200
თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები და სხვა ბენეფიტები	(66)	(82)
სასაქონლო მატერიალური მარაგის შესყიდვა	(5,931)	(5,972)
საწვავის ტრანსპორტირების ხარჯები	(44)	(34)
გადახდილი გადასახადები გარდა საშემოსავლო გადასახადისა	(44)	(87)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(12)	(13)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(190)**	**12**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-
უძრავი ქონების შესყიდვა	-	-
მიღებული პროცენტები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**-**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული თანხები	279	215
სესხების დაფარვა	(170)	(142)
გადახდილი პროცენტები	(20)	(41)
გადახდილი დივიდენდი		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**89**	**32**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	-	-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**(101)**	**44**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	202	101
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	101	145

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს დაგის (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას. შპს დაგი არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფ. მუხრანი.

კომპანია ფლობს მხოლოდ ერთ ბენზინგასამართ სარდგურს და ვაჭრობს 4 ტიპის საწვავით: ევროდიზელი, დიზელი, ბენზინი რეგულარი და ბენზინი პრემიუმი. კომანია დაკავებულია საცალო ვაჭრობით როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიული პირებთან.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანია ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში.

2. მომზადების საფუძვლები ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კოპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას,

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა

იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელის შეფასებისთვის კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას რომელიც მიუთითებს, რომ თავისი არსით გარდაუვალი გადახდებია. აქედან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022	31.12.2021
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	544	339
ფული და ფულის ეკვივალენტები	145	101
სულ ფინანსური აქტივები	689	440

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	246	114
სესხები და ობლიგაციები	259	165
სულ ფინანსური ვალდებულებები	505	279

ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებების ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად

მიღებული სესხების ღირებულება განაკვეთი მერყეობს 13%-დან 14%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სესხების შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაიცვას მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსი. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ფინანსური სამსახურისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც მას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	544	339
სულ	544	339

ლიკვიდურობის
რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს საბრუნავი სამუალებების დროული შეძენა, სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია სარგებლობს საბანკო სესხებით, როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი. ასევე საჭიორების შემთხვევაში იყენებს პარტნიორების ფულად სახსრებს.

5. ამონაგები

	2022	2021
ბენზინი	2,948	2,822
დიზელი	2,486	2,407
სულ	5,433	5,229

კომპანიას ამონაგები ფორმირდება ბენზინგსამართი სადგურიდან საწვავის რეალიზების შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული საწვავი	(5,135)	(4,981)
საწვავის ტრანსპორტირება	(34)	(44)
სულ	(5,169)	(5,025)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(82)	(66)
იჯარა	(29)	(29)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1)	(1)
კომუნალური ხარჯი	(8)	(6)
საბანკო ხარჯი	(41)	(18)
დაზღვევის ხარჯი	(1)	(1)
სხვა ხარჯი	(2)	(1)
სულ	(164)	(122)

8. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ბალანსზე ირიცხება მხოლოდ რამდენიმე მანქანა-დანადგარი, რადგან ძირითადი იჯარით აღებული ფართი სრულად კეთილმოწყობილია და არ საჭიროებს დამატებით დანახარჯებს.

	2022	2021
მანქანა-დანადგარები	10	10
ჯამური ცვეთა	(6)	(5)
სულ	4	5

9. ფინანსური ხარჯები

კომპანია სარგებლობს საბანკო გრძელვადიანი სესხით და ასევე მოკლევადიანი საკრედიტო ხაზით. ფიანსურ დანახარჯებში ასახულია საკრედიტო დაწესებულებისთვის გადახდილი პროცენტები და ასევე მოიცავს სხვა საბანკო ხარჯებსაც, როგორიცაა მომსახურების საკომისო, გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.

	2022	2021
ფინანსური ხარჯები	(41)	(19)
სხვა ფინანსური ხარჯი	(9)	(2)
სულ	(50)	(21)

10. მარაგები

კომპანიის ბალანზე აღრიცხულია სარეალიზაციოდ განკუთვლინი სასაქონლო-მატერიალური მარაგები. კომპანია ვაჭრობს მხოლოდ ოთხი ტიპის საწვავით - ევრო დიზელი, დიზელი, ბენზინი რეგულარი და ბენზინი პრემიუმი.

	2022	2021
ევრო რეგულარი - ბენზინი	15	23
დიზელი	34	28
პრემიუმი - ბენზინი	21	9
ევრო დიზელი	18	16
სულ	88	76

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის ძირითადი მომხმარებელები არიან გადამზიდი კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ კონსიგნაციით. სავაჭრო მოთხოვნებიში შესულია მხოლოდ მათ მიერ შესყიდული საწვავის ღირებულება, რომელსაც ფარავენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

12. საგადასახადო მოთხოვნები

კომპანიას ბიუჯეტში წლის ბოლოს გადახდილი ჰქონდა ავანსად გადასახდები, რომლის ათვისებაც მოხდა შემდგომ პერიოდში საგადასახადო დავის დასრულების შემდგომ.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები
კომპანიის ბალანზე ირიცხება მხოლოდ ნაღდი ფული სალაროში და საბანკო ანგარიშზე. სხვა სახის ფულადი ექვივალენტებით კომპანია არ სარგებლობს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვლდებულებების მდგენელი ძირითადად არის სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვისთვის გაწეული ხარჯები, რომელსაც კომპანია იხდის კონტრაქტით გათვალისიწინებულ ვადებში.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქიონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის მეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში.

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები მერყეევია და იცვლება პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე

ხარჯები

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა

კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. რადგან კომპანიას აქვს მხოლოდ მანქანა-დანადგარები, მათი საციცხლო ვადა განსაზღვრულია 5 წლით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მხოლოდ სასესხო ვალდებულებებს, ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.
ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უმუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამომვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.